ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1298873

ნომერი: AR1222948

თარიღი : 24.05.2014

გაცემის თარიღი : 30.05.2014

გაცნობის თარიღი : 01.06.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა / ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 , (ნაკვეთი N60/30) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯემალ მიმინოშვილი პ/ნ 01024012274
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 11ა ბ. 16

ორგანიზაცია:
- ი.ბ.ა. "ორთაჭალა-2006" კოდი: 206330406

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ AR1152746 და AR1155140 განცხადებებით ითხოვდით დამხმარე ფუნქციის შენობა/ნაგებობის განთავსების ნებართვას, რომელიც გამოყენებულ იქნებოდა მომიჯნავე მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის დასაწყობად, ასევე ამხანაგობის სხვა სახის სამეურნეო მიზნებისათვის. შესაბამისად გაიცა წერილობითი თანხმობა დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე (გადაწყვეტილება №880368).

რაც შეეხება ამჟამად თქვენს მოთხოვნას ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში "დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის" შეცვლას "60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობად " გაცნობებთ, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის მიკუთვნილი მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება დასაშვებია მხოლოდ ავტოსადგომების კუთხით, კორპუსის საკადასტრო საზღვრებში სხვა რაიმე სახის დანიშნულების მშენებლობა მიუღებელია.

ასევე გაცნობებთ, რომ ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების თანახმად მშენებლობა შესაძლებელია, თუ ავტოფარეხი მდებარეობს სისტემურად ჩამოყალიბებული ავტოფარეხების რიგში, რიგის ბოლოს ან რელიეფში შეჭრით, ამასთან საცხოვრებელი ზონების ცალკეულ ქვეზონებში დროებითი შენობა-ნაგებობების (ავტოფარეხების) ექსპლუატაციის ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 3 წლით, რომლის ამოწურვის შედეგად დროებითი შენობა-ნაგებობა (ავტოფარეხი) ქ. თბილისის თვითმართველი ერთეულის პირველივე მოთხოვნისთანავე ექვემდებარება დემონტაჟს. განაცხადში მითითებული საპროექტო ადგილი არ წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილ ტერიტორიას, მდებარეობს კორპუსის წითელ ხაზებში, სადაც არ ფიქსირდება სისტემურად ჩამოყალიბებული ავტოფარეხების რიგის არსებობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge